ხელშეკრულება № 18

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **05 აპრილი 2022 წ**

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის **N167** საჯარო სკოლა ს/კ **200121965** - ტ: **2672703** **(შემდგომში - შემსყიდველი)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ელენე ფუტკარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს **„სიმეტრა“** ს/კ **204567174** - **(შემდგომში - მიმწოდებელი)** წარმოდგენილი მისი ბექა სიხარულიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის **მე_3** მუხლის პირველი პუნქტის **„ს¹“** ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: **(CPV33764000)** - ღირებულება **721.08** ლარი. (შვიდასოცდაერთი ლარი და **08** თეთრი); **(CPV33711900)** - ღირებულება **32.85** ლარი. (ოცდათორმეტი ლარი და **85** თეთრი); **(CPV39832000)** - ღირებულება **14.60** ლარი. (თოთხმეტი ლარი და **60** თეთრი);

1.2. შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **768.53** ლარი. (შვიდასსამოცდარვა და **53** თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორებ

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან **10** (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან **10** (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, გლდანი **II** მკრ **N167** საჯარო სკოლა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის **0.1%**-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის **0.1%**-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს **3** კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება დამკვეთთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2022** წლის **25 მაისის** ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის N167 საჯარო სკოლა	შპს „სიმეტრა“
ს/კ 200121965	ს/კ 204567174
მის: ქ. თბილისი, გლდანი, II მ/რ	მის: ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. N29
ტელ: 2672703	ტელ: 2672703
E-mail: tbilisi167@mes.gov.ge	E-mail: G.parkosadze@orei.ge
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“	ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE70BG0000000498933988	ბანკის კოდი TBCBGE22
	ა/ა GE77TB7223736020100007
დირექტორის მ/შ ელენე ფუტკარაძე	დირექტორი ბექა სიხარულიძე
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა) ბ.ა

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი **08 აპრილი 2022 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, **სსიპ ქალაქ თბილისის N167 საჯარო სკოლა,** წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ელენე ფუტკარაძის სახით **(შემდგომში - შემსყიდველი)** და მეორეს მხრივ, **შპს „სიმეტრა“** წარმოდგენილი მისის დირექტორის ბექა სიხარულიძის სახით **(შემდგომში - მიმწოდებელი)**, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მხარეებს შორის **05.04.2022** წ. დადებული **N 18** ხელშეკრულების თანახმად **შემსყიდველმა** მიიღო, ხოლო **მიმწოდებელმა** გადასცა **768.53** (შვიდასსამოცდარვა ლარი და **53** თეთრი) ლარის ღირებულების საქონელი.

ჩაიარა: **ჩააბარა:**

ელენე ფუტკარაძე **ბექა სიხარულიძე**